საქმე №1812-23 **28 დეკემბერი, 2023 წელი**

ა(ა)იპ „საქართველოს რაგბის კავშირის“ სააპელაციო კომისიის

გადაწყვეტილება

კომისიის თავმჯდომარე - რევაზ ბერიძე

კომისიის წევრები - სალომე გულუა, ირაკლი კუჭავა, ბერდია ახალბედაშვილი, ანა გვასალია

საჩივრის ავტორი - ა(ა)იპ რაგბის კლუბი „ლელო“ (შემდგომში „მოთამაშე“)

მოწინააღმდეგე მხარე - ა(ა)იპ „საქართველოს რაგბის კავშირის“ (შემდგომში - „სრკ“) სადისციპლინო კომისია (შემდგომში - „სადისციპლინო კომისია“)

გასაჩივრებული გადაწყვეტილება: სრკ-ს სადისციპლინო კომისიის 2023 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც რაგბის კლუბი „ლელო“ გაძევებული იქნა სრკ-ს მიერ ორგანიზებული ჭაბუკთა „ბ“ ლიგის 2023 -2024 წლის სათამაშო სეზონის გათამაშების დარჩენილი ნაწილიდან (შემდგომში „გადაწყვეტილება“).

აღწერილობითი ნაწილი

ფაქტობრივი გარემოებები

1. 2023 წლის 15 დეკემბერს საქართველოს რაგბის კავშირის სააპელაციო კომისიის ელ. ფოსტაზე appeals@rugby.ge შემოვიდა რაგბის კლუბი „ლელო“-ს სააპელაციო საჩივარი;
2. 2023 წლის 18 დეკემბერს [საქმე № 1812-23] ა(ა)იპ „საქართველოს რაგბის კავშირის“ სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილებით კლუბს უარი ეთქვა საქმის წარმოებაში მიღებაზე, რადგან დარღვეული იყო საჩივრის ფორმალური მოთხოვნები. კლუბს მიეცა ხარვეზის გამოსასწორებლად ვადა, რომელიც 2023 წლის 25 დეკემბერს აღმოიფხვრა კლუბის მიერ;
3. სააპელაციო კომისია უდავო ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნევს 2023 წლის 30 ნოემბრის სრკ-ს მიერ ორგანიზებული ჭაბუკთა „ბ“ ლიგის გუნდების შემოდგომის ტურნირზე/ფესტივალზე მომხდარი ინციდენტის შესახებ ფაქტს, სადაც სიტყვიერად და ფიზიკურად დაუპირისპირდნენ მატჩის მსაჯი როინ ბრეგვაძე და კლუბის მოთამაშეთა მშობლები/გულშემატკივრები ერთმანეთს, რაშიც ასევე

ჩართული იყო კლუბის მწვრთნელი იმ ფორმით, რომ არაერთგზის გამოხატა მწვრთნელმა რეპლიკა მსაჯის მიმართ. ინციდენტის ინიცირება მოხდა მშობლებისა და გულშემატკივრების მიერ, კლუბის მწვრთნელის მხრიდან მსაჯის მიმართ აპელირების შემდგომ; ფაქტი დაადასტურა კლუბის მწვრთნელმა;

4. მსაჯს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა კლუბის მოთამაშის მშობლებმა. ფაქტი დაადასტურეს ასევე კლუბის წარმომადგენლებმა. სამწუხაროდ, მსაჯი საპასუხო ქმედებებით პასუხობდა მშობლების სიტყვიერ შეურაცხყოფას;
5. კლუბი არ ეთანხმება სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილებას, შემდეგ მიზეზთა გამო:
   ა. ინციდენტს ადგილი ჰქონდა მატჩის დასრულების შემდგომ, მოედნის გარე პერიმეტრზე;
   ბ. ბავშვები (მორაგბეები) არ უნდა დაისაჯონ მათი მშობლების ქმედების გამო, რადგან ინციდენტთან არ ქონიათ რაიმე შეხება;
   გ. მშობლები არ არიან რაგბის ოფიციალური პირები [სუბიექტები] და თამაშის მონაწილეები, შესაბამისად მოთამაშეებისგან უნდა გაიმიჯნონ და რადგან არ არიან სუბიექტები მათზე ვერ იქნება გავრცელებული ქცევის კოდექსის 8.2., 8.5, 8.6. და 9.4. მუხლები;
6. გადაწყვეტილების შესაბამისად, თბ „ლელო 2“ გაძევებული იქნა სრკ-ს მიერ ორგანიზებული ჭაბუკთა „ბ“ ლიგის 2023-2024 წლის სათამაშო სეზონის გათამაშების დარჩენილი ნაწილიდან;

სამოტივაციო ნაწილი

1. საჩივრის დეტალური შესწავლისა და მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე, სააპელაციო კომისია მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების პირველი ნაწილით მიღებული გადაწყვეტილება სამართლიანია და გამოყენებული სანქცია/შეზღუდვა მომხდარი ქმედების პროპორციულია;
2. მწვრთნელები უნდა აცნობიერებდნენ, რომ მათი ქცევა თამაშის დროს ან შემდგომ, გავლენას ახდენს მაყურებლებზე/მოთამაშეთა მშობლებზე, რომლებმაც შესაძლოა არ იცოდნენ რაგბის თამაშის ყველა წესი და მწვრთნელების მხრიდან მსაჯის საჯარო კრიტიკა არის მაპროვოცირებელი მაყურებლებისთვის, რასაც ადგილი ჰქონდა განსახილველ შემთხვევაში მიუხედავად იმისა, რომ ფაქტი მოხდა მატჩის დასრულების შემდეგ, პროვოცირება მოხდა მატჩის მიმდინარეობის დროს;
3. ასევე აღვნიშნავთ, რომ ქცევის კოდექსი ვრცელდება როგორც სათამაშო სივრცეში, ასევე მის მიღმა და ნორმები ვრცელდება პერიმეტრს გარეთაც [სადისციპლინო რეგულაციის 2.10. პუნქტი]. ამრიგად, საჩივრის ავტორის მითითება რომ მომხდარი ფაქტი მოხდა მოედნის პერიმეტრს გარეთ, ვერ იქნება პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება;
4. კომისია მართებულად მიიჩნევს კიდევ ერთხელ გაამახვილოს ყურადღება რაგბის, როგორც სპორტის ერთ-ერთი სახეობის მნიშვნელობასა და პრინციპებზე. რაგბი ღირსეული ადამიანების სპორტად მიიჩნევა და მის ფუნდამენტალურ ფასეულობას წარმოადგენს პატივისცემა თანაგუნდელების, მოწინააღმდეგე მოთამაშეების, მატჩის ოფიციალური პირებისა და მაყურებლის მიმართ, რაც მეტად განასხვავებს რაგბს სპორტის სხვა სახეობებისგან._მსაჯები და მეთვალყურე არიან ის ძირითადი პირები, რომლებიც ახორციელებენ მატჩზე მომხდარი სადისციპლინო დარღვევების (თამაშის წესების და ქცევის კოდექსის) დაფიქსირებას და უზრუნველყოფენ დისციპლინარული დარღვევების შესაბამისი წესით მიწოდებას სრკ-ს სადისციპლინო კომიტეტისთვის შემდგომი რეაგირების მიზნით. მსაჯები არიან მიუკერძოებლები და არ არსებობს რაიმე მოტივი ან არგუმენტი, შეადგინონ ცრუ ინფორმაციის შემცველი ოქმები ან/და მიიღონ რაიმე გადაწყვეტილება თამაშის დროს მიკერძოებულად. მსაჯებისა და მათი გადაწყვეტილებების მიმართ მორჩილება და პატივისცემა წარმოადგენს საყოველთაოდ აღიარებულ და მსოფლიო რაგბის მიერ აღიარებულ პრინციპებს. მატჩის ოფიციალური პირი (მსაჯი) წარმოადგენს რაგბის თამაშის განმსაზღვრელ და განუყოფელ ელემენტს, რომლის გარეშეც თამაში ფაქტობრივად შეუძლებელია, მათ თითოეულ გადაწყვეტილებას შეუძლია რადიკალურად შეცვალოს თამაშის მიმდინარეობა და შედეგი. თამაშის სწორად და სამართლიანად გამართვის უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია თამაშის ნებისმიერი მონაწილისგან, მათ შორის მაყურებლისგან, მწვრთნელისგან და სხვა გამოხატული იყოს პატივისცემა მსაჯებისა და მათი გადაწყვეტილებების მიმართ;

5. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ საჩივრის ფარგლებში მოკლებულია კომისია შესაძლებლობას განიხილოს და იმსჯელოს მსაჯის მიმართ გამოყენებული სანქციის პროპორციულობის/რელევანტურობის საკითხზე, ასევე მსაჯის ქმედებებზე და მისი მხრიდან განხორციელებულ საპასუხო რეაგირებებზე, ასევე მსაჯის „თმენის ვალდებულების“ პრინციპებზე, თუმცა სააპელაციო კომისიას მიაჩნია, რომ მსაჯებთან უნდა ჩატარდეს აქტიური სამუშაოები, რომ მეტი პასუხისმგებლობით განახორციელონ „თმენის ვალდებულების“ დაცვა;
6. უდავოა, რომ საკმაოდ მძიმე და უხეში დისციპლინარული გადაცდომა მოხდა მატჩზე, რაც სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის, ასევე ქცევის კოდექსის უხეში დარღვევაა. ქმედება არა მხოლოდ ეროვნულ დონეზე, არამედ მსოფლიო რაგბშიც წარმოადგენს უმძიმეს სადისციპლინო გადაცდომას;

   საჩივრის ავტორის მითითება, რომ მორაგბეები [ბავშვები] არაფერ შუაში არიან, არ უნდა „დაისაჯონ“ ვერ იქნება გათვალისწინებული, მიუხედავად მათი ბრალეულობის არ არსებობისა. რაგბი არის სპორტის დისციპლინა, სადაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება რაგბის წევრთა მიმართ პატივისცემას, დისციპლინას. რაგბის თამაშის მონაწილის ქმედება, მათ შორის გულშემატკივარის [მშობლის] ან/და კლუბის მწვრთნელის ქმედება ვერ იქნება შეფასებული როგორც განკერძოებული ქმედება. რაგბი არის გუნდური თამაში და მისი რომელიმე წევრის სადისციპლინო გადაცდომა გავლენას ახდენს მთლიანად თამაშზე/გუნდზე/პროცესზე. ეს გუნდურობა არის რაგბის ფუნდამენტური და მნიშვნელოვანი საფუძველი. კლუბის მოთამაშეები არიან ახალგაზრდა მორაგბეები, რომლებსაც წინ აქვთ სპორტული ცხოვრება, მათ უნდა ესმოდეთ რომ რაგბის თამაშის თითოეული პირი ვალდებულია პატივი სცეს რაგბის ოფიციალური პირებს, მით უფრო მსაჯს. ის რომ მათ არა მაგრამ მათმა მშობლებმა შეურაცხყვეს მწვრთნელი სიტყვიერად/ფიზიკურად, ასევე იმ კლუბის მწვრთნელმა რომლის წევრებიც არიან მორაგბეები, ვერ გამორიცხავს კლუბის პასუხისმგებლობას, იმ ფუნდამუნტური საფუძვლების გამო, რაზეც რაგბის სპორტის დისციპლინა დგას. <u>განსახილველ შემთხვევაში არ ხდება ბავშვების „დასჯა“, ეს არის სანქცია კლუბის მიმართ რომლის წევრებიც არიან მორაგბეები.</u> მნიშვნელოვანია ახალგაზრდა მორაგბეებს ესმოდეთ რომ ისინი არიან კლუბის წევრები, ვერ განაცალკევებს სადისციპლინო ან/და სააპელაციო კომისია მათ კლუბისგან. მორაგბეებს უნდა ესმოდეთ, რომ კლუბის რომელიმე წევრის არამერთებული ქცევა ყოველთვის გავლენას მოახდენს მთლიანად კლუბზე ან/და მის რომელიმე წევრზე.
   კლუბის მხრიდან სადისციპლინო დარღვევა უნდა დაკვალიფიცირდეს და განისაზღვროს პროპორციული სანქციით. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია შეაფასოს დაკისრებული სახდელის რელევანტურობა და მისი გავლენა სამომავლოდ კლუბის ბედზე, სანქცია უნდა ატარებდეს ქმედების პრევენციის ფუნქციას. კომისია მიიჩნევს, რომ არსებითია ახალგაზრდა სპორტსმენებს ჰქონდეთ გააზრებული, რომ ისინი არიან კლუბის წევრები და კლუბის ნებისმიერი სანქცია, კლუბის წევრის ნებისმიერი არასპორტულ ქმედებას შესაძლოა გახდეს ზიანის მომტანი მთელი კლუბისთვის, მისი თანაგუდნელისთვის და ის, რომ სარაგბო დისციპლინა არის ერთ-ერთი უმნიშვნბელოვანესი პირობა, რაგბის სამართლიანად სათამაშოდ.
   კლუბს, მის ხელმძღვანელებს და მწვრთნელებს უნდა ჰქონდეთ გააზრებული, რომ ეს არ არის მორაგბეების „დასჯა“ როგორც განმარტავს საჩვრის ავტორი, გამოყენებული სანქცია არის კლუბის წევრთა ქმედებების შედეგი, რომელიც გამოხატულია სადისციპლინო შეზღუდვით. ის არის პრევენციის ზომა, თავიდან იქნეს არიდებული მსგავსი უხეში სადისციპლინო გადაცდომები. ასევე თამაშის წევრებს [მაყურებლებს/მშობლებს] არ უნდა ჰქონდეთ განცდა, რომ სხვისი ფიზიკური ან სიტყვიერი შეურაცხყოფა როგორც მოედნაზე ასევე მის პერიმეტრზე, თამაშის დროს ან მისი დამთავრების შემდეგ დასაშვებია, რადგან ამ ქმედების შედეგად დაზიანდება ისევ და ისევ კლუბი/მოთამაშე/მწვრთნელი და სხვა. კომისია იმედოვნებს, რომ კლუბის მხრიდან აუცილებლად სწორად იქნება ინტერპრეტირებული გადაწყვეტილებები და შესაბამისად განხორციელებული კომუნიკაცია [როგორც მორაგბეების, ასევე მათი მშობლების და სხვა დაკავშრებული პირების მისამართით] სადისციპლინო და სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილების შინაარსთან მიმართებაში. მკაფიოდ იქნება განმარტებული, რომ ეს არის მომხდარ ფაქტზე/დარღვევებზე რელევანტური, პროპორციული და გონივრული რეაგირება, რაგბში არსებული მკაცრი დისციპლინისა და გუნდურობის გათვალისწინებით. ეს არ არის მხოლოდ თამაში, ეს არის სპორტი მისი დისციპლინის წესებით.

გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი

სააპელაციო კომისიამ სრული შემადგენლობით გადაწყვიტა:

1. სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს, ძალაში დარჩეს სრკ-ს სადისციპლინო კომისიის 2023 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც რაგბის კლუბი „ლელო“ გაძევებული იქნა სრკ-ს მიერ ორგანიზებული ჭაბუკთა „ბ“ ლიგის 2023 -2024 წლის სათამაშო სეზონის გათამაშების დარჩენილი ნაწილიდან;
2. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება;
3. სააპელაციო კომისიის დებულების შესაბამისად, გადახდილი სადეპოზიტო თანხა არ ექვემდებარება შემცირებას/დაბრუნებას.